ბავშვებთან საუბარი

სხეულისა და სექსუალობის შესახებ

LIVING DEMOCRACY

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

www.living-democracy.com

PH ZH IPE – INTERNATIONAL PROJECTS IN EDUCATION
ZURICH UNIVERSITY OF TEACHER EDUCATION

სხეული და სქესობრივი განათლება

დენისი არის 6 წლის და დაინტერესდა მისი სხეულით. ის თავის შიშველ სხეულს აბაზანაში აკვირდება და ერთ დილასაც მოგმართათ კითხვით.

ვინ არ დაბნეულა ასეთი პირდაპირი შეკითხვის გამო? ბევრი მშობელი თავს შებოჭილად და დარცხვენილად გრძნობს, როდესაც სექსუალური ტიპის საკითხები წამოიჭრება ხოლმე განსახილველად. იმის გამო, რომ ბავშვის ასაკის მატებასთან ერთად, ვითარდება მისი სხეულის ნაწილები, აუცილებელია, ვესაუბროთო მას გარკვეულ საკითხებზე. ინფორმაციის მუდმივი გაცვლა და ადრეულ ასაკშივე მსგავს თემებზე საუბარი ბავშვს მატებს საკუთარი თავის რწმენას: იმათმა, ვინც იციან საკუთარი სხეული, იციან ისიც, თუ როგორ დაიცვან. ამრიგად, ღია საუბრები სექსუალური ტიპის საკითხებზე, ბავშვებს აძლევს შესაძლებლობას, რომ აღმოაჩინონ თავიანთი თავები და სხეული, მათი საჭიროებების შესაბამისად. მეტიც, ეს მათ აძლიერებთ, ხდებიან თავდაჯერებულები და ჩვენი საზოგადოების სრულფასოვანი წევრები.

სექსუალურ განათლებასთან დაკავშირებული საკითხები სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის განსხვავებულია. მშობლები, რომლებიც მსგავსს თემატიკას განიხილავენ შვილებთან, მუდმივად უნდა გაითვალისწინონ შვილების ასაკი და მათი საჭიროებები. ის ფაქტი, რომ სიყვარულის, ვნებისა და სხეულის აგებულობის საკითხები მშობელსა და შვილს შორის ღიად, თამამად განიხილება, არ ნიშნავს იმას, რომ შვილებს უღვიძებს რაიმე გრძნობას ან სექსუალური ხასიათის სურვილს. სექსუალურობა არის სიცოცხლის ერთგვარი ენერგია, რომელიც გადაეცემა კაცობრიობას მემკვიდრეობით, ამიტომ საკითხზე ღია მსჯელობის დროს, თქვენ მხოლოდ შვილის ჯანმრთელ განვითარებას უწყობთ ხელს.

როგორი იქნებოდა თქვენი რეაქცია მსგავს სიტუაციაში? აირჩიეთ ერთი შესაძლო ვარიანტი და გადადით მითითებულ გვერდზე:



გადადით [მეოთხე გვერდზე](#)!

გადადით [მეხუთე გვერდზე](#)!

გადადით [მეექვსე გვერდზე](#)!

გადადით [მეშვიდე გვერდზე](#)!

აქ მოცემულია რეკომენდაციები თქვენს შვილთან დიალოგისთვის

- ადრეული ასაკიდანვე დაიწყეთ საუბარი შვილთან სიყვარულის, ადამიანის სხეულისა და ურთიერთობების შესახებ. თუ ორივე მშობელი შეთანხმებულია მსგავს თემებზე სასაუბროდ, ეს ამცირებს აკრძალვების დაწესებას ბავშვისთვის, რომელიც, როგორც წესი, ძალიან ხშირია ხოლმე.
- დარწმუნდით, რომ თქვენ მიერ შერჩეული სიტყვები და პასუხები არის ასაკობრივი ჯგუფისთვის შესაფერისი. გამოიყენეთ ნაცნობი სიტყვები, როდესაც პატარა ბავშვებთან საუბრობთ გენიტალიებზე. უფროსკლასელებთან გამოიყენეთ ტერმინები "ასო", "ვაგინა" და "სქესობრივი კავშირი". ასაკით შედარებით პატარა ბავშვები არ ინტერესდებიან დეტალებით.
- დარწმუნდით, რომ ყველა კითხვა სწორად გაიგეთ. დედა, როგორ გავჩნდი მე? - ეს ნიშნავს იმას, რომ თქვენ შვილს სურს, გაიგოს თქვენი ადგილსამყოფელი, ან საიდან მოდის შვილი?
- იყავით გულწრფელი! თუ არ გაქვთ კითხვაზე პასუხი, ან არ შეგიძლიათ აუხსნათ რომელიმე კონკრეტული სექსუალური მნიშვნელობის მქონე სიტყვა, აღიარეთ ეს და დაპირდით, რომ მოიძიებთ ინფორმაციას და მოგვიანებით გასცემთ პასუხს.
- პასუხი ისე გაეცით, თითქოს მზად იყავით ამ კითხვისთვის და არ იყო უცხო თქვენთვის. თუ თქვენი შვილი სუპერ მარკეტში შეგეკითხებათ: "დედა, ქალს ააქვს ვაგინა?". თავი შეიკავეთ პასუხის გაცემისგან და უთხარით, რომ: "კარგი კითხვაა, მოდი, ამაზე მოგვიანებით დავილაპარაკოთ სახლში, კარგი? ახლა ჩვენ საყიდლებზე ვართ."
- სახლის ყოველდღიური საქმიანობისას, დალაგებისას ან ჭურჭლის რეცხვისას, ეცადეთ შვილი თქვენთან დიალოგში ჩართოთ. ასეთ შემთხვევაში, საუბარი მეტად შინაურულია, არც ერთ მხარეს გამიზნულად არ უწევს თვალში ჩახედვა და ისე ლაპარაკი. ასეთი ფორმა მხარეებს გაუადვილებს საუბარს, რომელიც, როგორც წესი, სირცხვილს იწვევს ხოლმე.

დამატებითი ინფორმაცია/მასალები/ვიდეოები შეგიძლიათ ნახოთ მითითებულ ლინკებზე:

PDF „How to talk to your children about sex and relationships"

http://www.publichealthnetwork.cymru/files/2614/4359/8957/Factsheet1_HowToTalkChildrenAboutSRE.pdf

Parent-child-online course for the information and education of 9-13 year old children. 5-week course with films, role play and other activities.

http://timeforthetalk.com/

Text with information: When do I say what? Including film with relevant tips for the topic.

https://www.familylives.org.uk/advice/primary/health-and-development/how-to-talk-to-your-child-about-sex/



ასეთი თავის განხილვას თავიდან ვერ ავიცილებთ. ადამიანურ კომუნიკაციას აქვს გარკვეული ტიპის წესები. ერთ-ერთი ასეთი წესის მიხედვით, ჩვენ, ადამიანებს, არ შეგვიძლია კომუნიკაცია. წაიკითხეთ მეტი ადამიანური კომუნიკაციის შესახებ მეცხრე გვერდზე.

სიჩუმეც ასევე პასუხია. ასეთ შემთხვევაში, კომუნიკაცია მყარდება (არავერბალური სახით): "ჩვენ არ ვსაუბრობთ ამის შესახებ. თუმცა ვგრძნობ, რომ გინდა იცოდე მეტი შენი სხეულის შესახებ, შენზეა დამოკიდებული როგორ გირჩევნია ამაში გარკვევა." ეს პასუხი ცოტა გრძელვადიან გეგმებზეა გათვლილი, შექმენით სანდო ურთიერთობა თქვენსა და თქვენს შვილს შორის. დენისი მოგვიანებით ამ ინფორმაციას ფილმებიდან ან მეგობრებიდან მაინც გაიგებს. მან შეიძლება იფიქროს, რომ ამ თემას არ ეკიდებოდა სერიოზულად, ან თავი იგრძნოს მოტყუებულად, რადგან მშობლები მასთან არ განიხილავდნენ ამ საკითხებს.

Тამრიგად, დენისი ფლობს ინფორმაციას სხვადასხვა წყაროდან, რომელიც მისი მშობლების კონტროლის მიღმაა. ისინი ვერასდროს გაიგებენ რა იცის დენისმა სექსუალური ცხოვრების შესახებ სწორად და რა -არასწორად.

სქესობრივი განათლება ენობრივ განვითარებასაც ნიშნავს.

სხეულის ნაწილებზე საუბრისას, თქვენ იყენებთ ახალ სიტყვებს, რომელიც მოგვიანებითაც გამოგადგებათ. თუ თქვენმა შვილმა მთლიანად შეისწავლა სხეული, სასქესო ორგანოების ჩათვლით, ეს ეხმარება მას ისაუბროს სექსუალურ ცხოვრებაზეც. ამრიგად, ნელ-ნელა ბავშვი იწყებს ნასწავლი ლექსიკის გამოყენებას კითხვის დასმის დროს, გრძნობებისა და საჭიროებების გამოსახატად. ასეთი ბავშვები სამომავლოდ ხდებიან მეტად კომპეტენტურები, ისინი ვინც საკუთარ თავს კარგად გამოხატავენ, მეტად წარმატებულებიც არიან.

თქვენ უნდა განუმარტოთ ასევე ის სიტყვებიც, რომელიც სკოლიდან მოაქვთ ბავშვებს. ისინი სხეულის განვითარებასთან ერთად ახალ სიტყვებსაც სწავლობენ, ამიტომ მათი მხრიდან ნათქვამი სექსუალური ხასიათის მქონე სიტყვა არ უნდა დაგმოთ. მოახდინეთ კატეგორიზაცია სიტყვებს შორის, რომელია ვულგარული და რომელი არა , მაგალითად, "წადი შენი". ნაცვლად ამისა, შესთავაზეთ სხვა ვარიანტი, რომელსაც თქვენ გამოიყენებდით.

ამ სიტუაციაში თქვენი რეაქცია იყო შესანიშნავი! თქვენ დენის აუხსენით შესაფერისი ხერხით. დენის აქვს იმაზე პასუხი, რაც აინტერესებდა. როცა მომავალში მას კიდევ ექნება კითხვები, თქვენ მოგმართავთ აუცილებლად და სრული სერიოზულობით შეგეკითხებათ.

დენისმა იცის, რომ სხეული არ არის ტაბუირებული თემა და რომ სრულიად ნორმალურია მთლიან სხეულზე საუბარი.

თქვენ მიერ მისი ინტერესის დაკმაყოფილება არის საუკეთესო გადაწყვეტილება სექსუალური განათლებისთვის.

გაეცით მოკლე, ნათელი პასუხები შვილებს. ხშირად მათ პასუხები იმ წამსვე სჭირდებათ, რადგან იმ მომენტისთვის აინტერესებთ. ბავშვს, რომელსაც მეტის გაგება სურს, გააგრძელებს შეკითხვების დასმას, რადგან გაჩვენოთ, რომ ის მზად არის მეტის გასაგებადაც.

ძალიან დეტალური და წმინდა ბიოლოგიური პასუხები, ამ ასაკის ჯგუფებისთვის არ არის შესაფერისი. ისინი ჯერ კიდევ არ არიან მზად ბევრი რამის შესაცნობად, სიახლეებმა შესაძლოა, გონება გადაუტვირთონ.

- დენისი ვერ ჩასწვდა მისი დედის პასუხს. მეტიც, ის თვლის, რომ ვერც მას გაუგეს. ამით ინგრევა ნდობა მშობელსა და ბავშვებს შორის. მეორე მხრივ კი, დენისი ხდება დადარდიანებული. უარეს შემთხვევაში კი, სხეულთან დაკავშირებული ყველაფერი რთული ხდება და იგი ვეღარ გაბედავს ამ თემაზე კიდევ ერთხელ საუბარს.

სქესობრივი განათლება ვერ დაიწყება ძალიან ადრეულ ასაკში; თუმცა ექსპერტები საუბრობენ განათლების მიცემაზე "დაბადებიდან". რა თქმა უნდა, სექსუალობა სხვადასხვა რამეს ნიშნავს, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვი ფლობდეს ასაკითვის შესაფერის ინფორმაციას. აქ შეხვდებით რეკომენდაციებს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვისs:

0-2 წელი: ბავშვები დაბადებულები არიან სხეულთან თანდაყოლილი კონტაქტითა და სიახლოვით. მათ აქვთ ის გამოცდილება, რაც სჭირდებათ. ჩვილები სამი თვიდან იცინიან და ამით სტიმულირებას უკეთებენ თავიანთ თავს. არ გაგიკვირდეთ, თუ: ზოგ პატარა ბიჭს ჰქონდეს ერექციაც.

მნიშვნელოვანია ერთად თანაცხოვრების დროს: თქვენი შვილის პოზიტიური განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ფიზიკური ყურადღება: სიახლოვე და მოსიყვარულე სიტყვები ეხმარება მას თავი იგრძნოს დაცულად, სანდო ხელში.

2-4 წელი: იზრდება ინტერესი სხეულის მიმართ. ბავშვები ამჩნევენ გენდერულ სხვაობებს და შესაძლებელია, კითხვა დასვან სექსის შესახებ. სურთ, რომ აღმოაჩინონ თავიანთი სხეულები და შეადარონ სხვებს.

მნიშვნელოვანია ერთად თანაცხოვრების დროს: აუცილებლად უთხარით გენიტალიების სახელები. ასე ისინი თავიანთ თავს გამოხატავენ და გაუჩნდებათ სხვა შეკითხვებიც. სიტყვები, როგორიცაა "ასო" და "ვაგინა" შესაძლებელია გამოიყენოთ ყოველდღიურადაც, დისკომფორტის შექმნის გარეშე. სექსუალური ცნობისმოყვარეობა არის ჯანსაღად განვითარების წინაპირობა.

5-8 წელი: კითხვები ორსულობის, განაყოფიერების, თავის დაცვის შესაცებ ხდება აქტუალური. ბავშვები ინფორმირებულები უნდა იყვნენ ასაკობრივი სიმწიფის შესახებ, რადგან ზოგიერთ გოგონას 8-9 წლის ასაკში ეწყება მენსტრუაციული ციკლი.

მნიშვნელოვანია ერთად თანაცხოვრების დროს: სექსი აუხსენით ბავშვური ენით, მაგრამ გულახდილად: "ბავშვი იზრდება დედის მუცელში. ამ მიზნით, მამის ასო უნდა შევიდეს დედის ვაგინაში. პატარა თესლი ერწყმის დედის კვერცხუჯრედს და ასე იზრდება ბავშვი დედის მუცელში". იყავით მზად, რომ ზოგჯერ ბავშვი ამაზე სიცილს იწყებს, ან ზიზღს გამოხატავს. ასეთ სიტუაციაში შესაბამისი საბავშვო ლიტერატურა დაგეხმარებათ.

9-11 წელი: ამ ასაკში ბავშვებს უკვე აქვთ მიღებული სექსუალური განათლება.

მნიშვნელოვანია ერთად თანაცხოვრების დროს: ამ ასაკობრივი ჯგუფის ბავშვები არ აღიარებენ რაიმეს არცოდნას ამ თემის შესახებ. გამოკითხეთ რა იციან და რა არ იციან და სადაც სჭირდებათ მეტი ცოდნა დაეხმარეთ. გამოიყენეთ შესაძლებლობა, რომ მიუთითოთ ყველა ცრუ წარმოდგენასა და ინფორმაციაზე, რომელსაც ისინი ფლობენ. იდეალურ შემთხვევაში, ისინი გაიხსნებიან და გკითხავენ იმის შესახებ, რაც ყველაზე მეტად აინტერესებთ.

ასეთი ურთიერთობა აყალიბებს ნდობას და ბავშვს უჩნდება გრძნობა, რომ: მე შემიძლია ვკითხო ყველაფერი ჩემ მშობელს.

“ბავშვის სქესობრივი განვითარება ხდება გამოცდილებით და მოვლენებით, რომლებიც, მკაცრად რომ ვთქვათ, არ არის სქესობრივი ხასიათის: სიახლოვეს, სიყვარულს, ურთიერთობებს, ფიზიკურ დატვირთვას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ბავშვების სხეულების განვითარებაში. ამით ისინი ქმნიან იმ საზღვრებს, რომლებიც დაეხმარებათ და თავიდან აცილებთ იმას, რაც არ მოწონებათ. ისინი, ვინც თავს დაცულად გრძნობენ, თავდაჯერებულებიც იქნებიან საკუთარ სექსუალობაში.”[1]

ზოგადად: რაც უფრო ხშირად საუბრობთ სქესობრივი განათლების საკითხებზე, მით უფრო მშვიდად იგრძნობთ თავს მსგავს თემებზე საუბრის დროს!

ადამიანური ურთიერთობების საფუძვლები

მოდი, ვაღიაროთ კომუნიკაციის განმარტების შემდეგი ფორმა: ყველა კომუნიკაცია არის ინფორმაცია გამცემსა და მიმღებს შორის. ბავშვები და მშობლები შესაძლებელია, რომ ორივე იყვნენ (ადამიანები, რომლებიც გაცემენ ინფორმაციას) ან მიმღებები (ადამიანები, რომლებიც იღებენ ინფორმაციას).

- თქვენ ვერ იქნებით კომუნიკაციის გარეშე.მაშინ როდესაც, ხართ ჩუმად და თვალს არიდებთ სხვა ადამიანს, ეს ნიშნავს იმას, რომ :"დამანებე თავი, ჩემთვის მინდა ვიყო!". მეტიც, ჩვილებს და პატარებსაც სურთ ჩვენთან კომუნიკაცია. ისინი ამას აკეთებენ არავერბალურად, ამიტომ ამის გაგება ზოგჯერ მათ მშობლებსაც უჭირთ. პატარა ბავშვებიც ცდილობენ გამოხატონ თავიანთი გრძნობები, სურვილები და საჭიროებები. იმისათვის, რომ გვქონდეს წარმატებული კომუნიკაცია ჩვენ შვილებთან, აუცილებელია, რომ გავშიფროთ მათი არავერბალური ინფორმაცია.
- არსებობს სიმეტრიული და დამატებითი კომუნიკაციის სიტუაციები. სიმეტრიული ნიშნავს თანაბარ პარტნიორებს შორის კომუნიკაციას: მეგობრები, ძმები, დები, კოლეგები და ა.შ. დამატებითი კომუნიკაცია ნიშნავს არათანაბარ ურთიერთობას, როგორიცაა მასწავლებელსა და მოსწავლეებს, დამსაქმებელს და დასაქმებულს, მშობლებსა და ბავშვებს შორის. ასეთი კომუნიკაცია ხასიათდება ძალის სტრუქტურით, მაგალითად, ძალაუფლების მქონე ადამიანს შესაძლებლობა აქვს მოახდინოს ზეგავლენა მეორე ადამიანზე. რა თქმა უნდა, კომუნიკაცია უფრო მარტივია, როდესაც ძალაუფლების მქონეს მხრიდან ლაპარაკობ, მაგალითად, მშობლის პოზიციიდან. უნდა გვახსოვდეს, რომ ძალაუფლების უპირატესობას არ ვიყენებთ ბოროტად, რადგან შესაძლებელია ამან გამოიწვიოს ნეგატიური შედეგები. ეს უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი შვილების შემთხვევაშიც. ბავშვები ყოველთვის დაქვემდებარებულები არიან მშობლებზე და ეს მოცემულობა არასდროს შეცვლება.
- კომუნიკაციური პროცესის პუნქტუაცია: გამგზავნი და მიმღები ადგენენ კომუნიკაციის სტრუქტურას. ინფორმაცია სხვადასხვანაირად მიეწოდება, ხდება საკუთარი ქცევის ინტერპრეტაცია. ერთი მხარე საკუთარ ქცევას განმარტავს, როგორც რეაგირებას სხვისი ქცევისადმი (ყველა მხარე თვლის, რომ მეორე მხარე არის კონკრეტული ქცევის მიზეზი). კომუნიკაციის პუნქტუაცია ნიშნავს მოვლენების ინტერპრეტაციას, რეაგირება, როგორც პასუხი მეორე მხარის მიმართ (თუ რამე მოხდა, სხვაც ყოველთვის ხდება).

"საუბარი ბავშვებთან თავიანთი სხეულისა და სქესობრივი განათლების შესახებ" დაფუძნებულია შემდეგ ლიტერატურას:

[1] Landolt, Claudia und Claudia Marinka. 2016. *«Wenn die Sexualität erwacht.» Das Schweizer Elternmagazin Fritz und Fränzi*, Dezember, 2. retrieved 29.11.2017.

https://www.fritzundfraenzi.ch/erziehung/sexualitat/wenn-die-sexualitat-erwacht

Bundeszentrale für gesundheitliche Aufklärung Deutschland. *Liebevoll begleiten… Körperwahrnehmung und körperliche Neugier kleiner Kinder. Ein Ratgeber für Eltern zur kindlichen Entwicklung vom 1. bis zum 6. Lebensjahr*. Broschüre, 10 ff.

Gnielka, Martin. *Über Sexualität reden…Ein Ratgeber für Eltern zur kindlichen Sexualentwicklung zwischen Einschulung und Pubertät*. Broschüre, ed.: Bundeszentrale für gesundheitliche Aufklärung Deutschland.

Landolt, Claudia. 2015. «Pubertät intim- vier Mythen zum Thema Sex.» *Das Schweizer Elternmagazin Fritz und Fränzi*, November. retrieved 01.12.2017.

https://www.fritzundfraenzi.ch/erziehung/sexualitat/pubertat-intim-vier-mythen-zum-thema-sex

Landolt, Claudia und Claudia Marinka. 2016. «Wenn die Sexualität erwacht.» *Das Schweizer Elternmagazin Fritz und Fränzi*, Dezember. retrieved 29.11.2017.

https://www.fritzundfraenzi.ch/erziehung/sexualitat/wenn-die-sexualitat-erwacht

Public Health Service Wales and Family Planning Association, London. 2012. *Advice Sheet 1. How to talk to your children about sex and relationships*. retrieved 16.03.2019.

http://www.wales.nhs.uk/sites3/documents/485/factsheet1_howtotalkchildrenaboutsre.pdf

Watzlawick, Paul, Janet H. Beavin und Don D. Jackson.2017. *Menschliche Kommunikation – Formen, Störungen, Paradoxien*. 13. Aufl. Bern: Hogrefe.